პრეს-რელიზი

თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის სამეწარმეო ბანაკი

2022 წლის 21, 22, 23 ივლისს, შავი ზღვის აუზის BSB თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბმა TETH უმასპინძლა გამოცდილებითი ტურიზმის სამეწარმეო ბანაკს. ბანაკში მონაწილეობას იღებდნენ ტურიზმისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, სტუდენტები და დამწყები მეწარმეები: ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, საქართველოდან და სომხეთიდან, რომლებიც შეირჩნენ ღია კონკუსრსის საფუძველზე.

სამი დღის მანძილზე მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგი მეწარმეობის, ბიზნეს ინოვაციებისა და მარკეტინგული კამპანიის წარმართვის შესახებ, რის საფუძველზეც მათ მოამზადეს ბიზნეს მოდელები ინოვაციურ და ტურისტულ პროდუქტებზე. ბანაკის ტრენინგს უძღვებოდა დავით ჩეჩელაშვილი, მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების სპეციალისტი.

ბანაკის ფარგლებში, მონაწილეებმა ასევე მოინახულეს უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალი, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი; ეწვივნენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და დაესწრნენ კერამიკის, ბატიკისა და კულინარულ მასტერკლასებს, ადგილობრივი გამოცდილებითი ტურიზმის სერვისების უკეთ გასაცნობად. პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ღირებული ცოდნა მეწარმეობისა და ტურიზმის სფეროებში, გაეცნენ თანამედროვე ბიზნეს ტენდენციებს და შეიძინეს ახალი კონტაქტები.

თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბი TETH დაფუძნდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის GACC მიმდინარე პროექტის PRO EXTOUR : „კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში"ფარგლებში. TETH მიზნად ისახავს გამოცდილებითი ტურიზმის პოპულარიზაციას და დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას შავი ზღვის აუზის (BSB) ქვეყნებში. იგი წარმოადგენს ჰაბების ქსელის ნაწილს, რომელიც ბულგარეთში, საქართველოში, საბერძნეთსა და სომხეთში მოღვაწე პარტნიორ ორგანიზაციებშია დაფუძნებული. მისი საქმიანობის ოთხი ძირითადი მიმართულებაა: კვლევა და ექსპერიმენტირება; დარუკება და პრეზენტირება; ქსელური მუშაობა და პრაქტიკის გაზიარება; ტრენინგები და მენტორობა. პროექტი PRO EXTOUR მიმდინარეობს ევროკავშირის შავი ზღვის აუზის პროგრამის (BSB Program) ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ: ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, და ბულგარეთის კულინარიული ხელოვნებისა და სტუმარ-მასპინძლობის ასოციაცია.